ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 242 1877—1899 № 242

ოთხშაბათი, 10 ნოემბერი, 1899 წ.

# ივერია

ოთხშაბათი 10 ნოემბერი, 899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 ნოემბერს,

არტისტის ქალის კნ. ბარბარე ავალიშვილის სასარგებლოდ

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან **ქალბ. მ. მ. საფაროვ აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ური ებრაელი

დრამა 5 მოქმ. და 6 სურათად თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ნეშიერიძისა, წერეთლისა, ალხაზიშვილისა და სხვ.; ბ-ნნი კ. ყიფიანი, კ. მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ადამიძე, მძინაროვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **კ. მესხი**

**მზადდება ახალი პიესა დუტუ მეგრელისა „სიკვდილი და სიცოცხლე".**

## იყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიასა და „ივერიის" რედაქციაში

## „სომეხთა მეცნიერნი და კვათა ღაღადი",

წერილი ილია ჭავჭავაძისა, **მეორედ** გამოცემული „ივერიის" რედაქციის მიერ, რადგან პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა.

ეს გამოცემა ძვირფასს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჰლირს წიგნი ექვს შაურად.

## ქ. ქუთაისში

## კბილის ექიმი

## სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე. მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები. (30—147—18)

**კავკასიის საბაღოსნო საზოგადოება** აცხადებს, რომ ტფილისის საბაღოსნო სკოლაში 1899 წლის შემოდგომაზედ და 1900 წლის გაზაფხულზედ დაკლებულ ფასით გაიყიდება 4,000 ათასამდე ძირი საუკეთესო ჯიშის ხეხილი, ორისა და წელიწად-ნახევრის დარგული და 50,000 ათასზედ მეტი ძირი დეკორატიული ხე, 1—5 წლის დარგული. (24—6.—24)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჩიჩინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. კ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩნაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**გ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**გ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ð სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმჰართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი

## კ. ს. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით** ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки. (100—31—73)

### მთავრობის განკარგულებანი

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან დანიშნულის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ფოსტალიონი ზოლიკვეტო გონაძე.

ებოძათ: კოლეჟსკი სეკრეტრობა გუბერნსკი სეკრეტრებს: გორის მაზრის

## ფელეტონი

### მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ.

(შემდეგი *)

31 მაისს, დილის ექვს საათზედ, მივედით ქალაქ ბეირუთს. ამ ქალაქში მთავარ-მოწამე გიორგიმ მოკლა ვეშაპი და დაიხსნა მეფის ასული ვეშაპის შთანთქისაგან. პირველად შევედი ამ დიდებულს ძლევა-მოსილს ეკკლესიაში, შემდეგ ვნახეთ ის ადგილი, სადაც წმ. გიორგიმ დასცა ვეშაპი; ამ ადგილზედ არს ეხლა მაჰმადიანთა სამლოცველო; უეჭველია, უწინარეს აქ იქმნებოდა ქრისტეანეთა სამლოცველო, მაგრამ შემდეგ მაჰმადიანთა ძალ-მომრეობით წარუტაცნიათ ეს ადგილი. ამ სამლოცველოში მოასვენეს სამიტროპოლიტო ტაძრიდგან წმ. გიორგის ხატი, მოგვცეს ნება სამლოცველოში შესვლისა შემდეგ ფეხთ გახდისა, აღვანთეთ სანთელნი წინაშე წმიდა გიორგის ხატისა, ვიგალობეთ ტროპარი წმ. გიორგისა, და ვემთხვივენით მისს ხატსა. საკვირველია ასეთი ერთობა ამ ადგილზედა ქრისტეანეთა და მუსულმანთა შორის; ვგონებ ამისათვის შეთანხმებულან იგინი ერთმანეთში, რომ ორივენი სარგებლობენ მლოცავთა საწირავისაგან. ამ სამლოცველოსთან არს ჭა, საიდანაც ამოიღეს წყალი და შევსვით; არს პატარა მოგრძო ქვა, რომელზედაც მჯდარა მეფის ასული, როდესაც მოელოდებოდა ვეშაპის გამოსვლას ტბიდგან; ეს ტბა ეხლა დამშრალია და შიგ ჰბუდობენ მრავალნი ქვემძრომნი.

ამ ქალაქში ირიცხება 150 ათასი მცხოვრებნი, არის რამდენიმე სასწავლებელი სხვა-და-სხვა სარწმუნოების აღმსარებელთათვის. რუსეთის საპალესტინო საზოგადოებას აქვს ამ ქალაქში დაარსებული ხუთი სკოლა, რომლებშიაც სწავლობს 500 ყმაწვილი ქალი და ვაჟი.

ამ სკოლებს განაგებს დიდად პატივცემული მარიამ ალექსანდრეს ასული ჩერქასოვისა, უკვე მოხუცი; 12 წელი სცხოვრობს თურმე ბეირუთში, შეუსწავლია არაბული ენა. აქაურს მართლ-მადიდებელთ უმრავლესობას შეადგენენ არაბნი. სამშობლო ენასთან რუსულსაც ასწავლიან ყმაწვილებს, მხოლოდ საღმრთო სჯულს ასწავლიან ყველა კლასებში სამშობლო არაბულ ენაზედ. როდესაც ჩემმა თანამოგზაურმა რუსის დეკანოზმა ი. სა—ლმა ჰკითხა ქ-ნ ჩერქასოვისას, რატომ რუსულს ენაზედ არ ასწავლით საღმრთო სჯულსა და საეკკლესიო გალობასაო, მან უპასუხა: ამათთვის უსარგებლო იქმნება უცხო ენაზედ შესწავლა საღმრთო სჯულისა, რადგანაც ეკკლესიაში თავისს მშობლიურს ენაზედ ისმენენ ღვთის მსახურებასა და საზოგადოებაც აღგილობრივ არაბულს ენაზედ ლაპარაკობსო. ჭეშმარიტად რომ ასეა და კარგი იქნება, ყველა ასე უცქეროდეს.

31 მაისს ღამით ზღვის ღელვა და ფრთონა იყო და გამომაჩნდა ზღვის სნეულება. კურთხეულს არს განგება უფლისა! ორის კვირის განმავლობაში სრულიად არ შემხვედრია ღელვა და უკანასკნელს ღამეს, ხმელეთს რომ მოუახლოვდით, მხოლოდ მაშინ შემხვდა.

პირველს ივნისს დილის რვა საათზედ მოვაღწიეთ იაფფის ქალაქის კიდესთან. ნავთსადგური არ არის აქ. ცეცხლის გემიდგან ნავებით გავედით ნაპირზედ. ღელვა აქანებდა ნავს ერთის საჟენის სიმაღლეზედა. ქალებმა და ზოგიერთმა კაცებმა, ზღვის ზვირთების მნახველთ, ტირილი დაიწყეს, მოელოდნენ ზღვაში დაღუპვას; მადლობა ყოვლად მოწყალე უფალსა, ყოველნი მშვიდობით გავედით ხმელეთზედ. ამავე დღეს პირველს საათზედ წარვედით აქედგან რკინის გზით და საღამოს ექვსს საათზედ მადლითა ღვთისათა შევედით წმ. ქალაქს იერუსალიმს.

მეორე დღეს 11 საათზედ, წარვემართენით ქრისტე მაცხოვრის აღდგომის ეკკლესიად. სამწუხაროდ, კარები დახშული დაგვხვდა.

ამ დღეს მოვილოცეთ წმ. აბრამის მონასტერი, რომელშიაც აწ მოღვაწეობენ ბერძენთა მონაზონნი მამანი. აქ უჩვენებენ ადგილსა, სადაც აბრაამ შესწირვიდა მსხვერპლად ღმერთსა ძესა თვისსა ისაакსა. ამ მონასტერში აღმოუჩენიათ ხუთის წლის წინად წყლის საცავი, წმ. ელენა დედოფლისაგან აღშენებული თაღებით, 15 საჟენი სიგძით და 6 საჟენი სიღრმით. შიგ ეხლაც ბევრი წყალია კლდიდან ნაჟონი და შემოდგომაზედ და ადრე გაზაფხულზედ მარტის გასვლამდის წვიმებისაგან უფრო ემატება, და იგი შეადგენს წყლის საგზალს ამ სავანეში მცხოვრებთათვის, რადგანაც მდინარე დი წყაროები იერუსალიმში არ მოიპოვება და წვიმისაგან შეკრებილი წყლით ჭეებში კმაყოფილდებიან, ვითარცა საქართველოს წმ. სავანეთა შინა დავით გარეჯელისა და იოანნე ნათლის-მცემელისა.

ერთს მდიდარს ინგლისელს ქალს ამ ორის წლის წინად უთხოვნია ნება-რთვა ოსმალთა მთავრობისათვის თავის საფარით წყალის გამოყვანისა იერუსალიმში, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ გამგებლობა ამ წყლის სარგებლობაზედ მისს ხელში ყოფილიყო. ოსმალთა მთავრობას არ შეუწყნარებია მისი თხოვნა, უარი გამოუცხადებია და უთქვამს მისთვის: ჩვენ გარდამოგვეცი 20 ათასი თუმანი და ჩვენ გამოვიყვანთ წყალსაო. ეს ქალიც არ დათანხმებულა ამ წინადადებაზედ. ეხლა აღუშენებია ამ ქალს იერუსალიმში ორი დიდი ვრცელი სამ-სართულიანი სახლი, და ჯერ არ გამოუცხა-

*) იხ. „ივერია" № 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლიციის სამმართველოს საქმეთა მწარმოებელს—სავანელს, და თელავის მაზრის პოლიციის სამმართველოს რეგისტრატორს—ნარეკლიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა კოლეჟსკი რეგისტრატორს, გორის მაზრის პოლიციის სამმართველოს თარჯიმანს ყანჩელს; კოლეჟსკი რეგისტრატორობა კანცელარიის მოსამსახურეთ: ტფილისის მაზრის პოლიციის სამმართველოსას—თავ. ლორთქიფანიძეს და გორისას—ბერძენიშვილს.

# ახალი ამბავი

*** 8 ნოემბერს ტფილისის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ქალაქის ლომბარდის ხარჯთ-აღრიცხვა 1900 წ. შემდეგ კრება შეუდგა სააუქციონო სავაჭრო დარბაზის გამგეს არჩევას. დასახელებულ იქმნა კანდიდატებად ი. ლ. ასლამაზოვი და ბ-ნნი ნარიმანოვი და იზმიროვი; ყუთი დაუდგეს პირველს, ე. ი. ბ-ნს ასლამაზოვს, რომელსაც ამოუვიდა 37 თეთრი კენჭი და 4 შავი. გამგეობის წევრმა ბ-ნმა ხოსროევმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება დაფასების უწყებაში აღმოჩენილ სიყალბის შესახებ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ხსენებულს უწყებებში ბევრი ადგილი ამოფხეკილი და გადასწორებული აღმოჩნდა. ამ საქმის გარემოება უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა. გამგეობას დამნაშავეთ უცვნია საბჭოს ხმოსანი, დამფასებელ კომისიის წევრად ნამყოფი, თავ. ნ. ზ. თუმანოვი და სთხოვა საბჭოს—შუამდგომლობა ავღძრათ, რომ კანონმდებლობითი წესით, პასუხის გებაში იქმნას ის მიცემულიო. რამდენიმე კამათის შემდეგ, საბჭომ ერთხმად შეიწყნარა გამგეობის წინადადება. ამასთანავე, ხმოსანმა კ. მ. ალიხანოვმა აღელვებულის ხმით წინადადება მისცა კრებას, რომ ჩვენც ჩვენის მხრით, როგორც ამხანაგებმა თავ. თუმანოვისამ, დაუსჯელად არ უნდა დავსტოვოთ ის, რომელმაც თავისი მოქმედებით შეურაცხება მიაყენა მთელს საბჭოსო, ამიტომ ვსთხოვოთ გამგეობას—წარმოგვიდგინოს შემდეგის კრებისათვის თავისი მოსაზრებანი, თუ რა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ იმის წინააღმდეგაო.

ამის შემდეგ ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ევანგულოვმა სთხოვა საბჭოს დაესახელებინათ კანდიდატები გამგეობის წევრობაზედ, თავ. ჩერქეზიშვილისა და ბ-ნ შესტაკოვის ადგილას, რომელთაც 8 ნოემბერს გაუვიდათ სამსახურის ვადა. ერთხმად დასახელებულნი იქმნენ ისევ ისინი. თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს ამოუვიდა 41 თეთრი კენჭი და 4 შავი, ბ-ნს მ. ს. შესტაკოვს 33 თეთრი და 11 შავი. ამ ნაირად 4 წლით ისევ ეს ორი კაცი იქმნა არჩეული.

ამავე კრებაზედ წაკითხულ იქმნა ხმ. პ. მ. იაკიმოვის განცხადება, რომ ხმოსნობას თავს ვანებებო.

*** 12 ნოემბერს მოხდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს სხდომა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქმნება კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მმართველის ნ. შავროვის მოხსენება იმის შესახებ, რომ კონტროლი დაწესდეს კავკასიაში აბრეშუმის თესლის შემოტანასა, ვაჭრობასა და წარმოებაზედ, ან ბაჟი დაედვას შემოსატან თესლს; მოხსენებას თანა აქვს დართული თესლის გამოკვლევის დროებითის წესების პროექტი.

*** საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, რომ საქალებო გიმნაზიებსა და პროგიმნაზიებში, სავაჟო საშუალო სასწავლებელთა მგზავსად, მოსწავლე ქალთა სწავლის დასაფასებლად წლის გასულს იხმარებოდეს მთელი რიცხვები, ნაწილების დაუმატებლად, და ამასთან მოსწავლე ქალთ უფლება მიეცეთ უეგზამენოდ გადავიდნენ კლასიდგან კლასში.

*** ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ვოლსკი ამ ჟამად მოხსენებას თურმე ამზადებს ბათუმში საქალებო გიმნაზიის დაარსების შესახებ. მოხსენება საბჭოს 15 ნოემბერს წარედგინება განსახილველად.

*** რადგან ქალაქის ბაკის მოკირწყვლა უკვე დამთავრდა და რადგან ამასთან სისუფთავის დასაცველად ძალიან საჭიროა საჩქაროდ მომზადდეს ეს ბაკი, ამის გამო ტფილისის ქალაქის მოურავმა სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, განკარგულება მოახდინეთ, რომ საყოველთაოდ გამოქვეყნებული იქმნას სავალდებულო დადგენილებანი ბაკის ხმარების წესრიგისა და პირუტყვით ვაჭრობის შესახებ; ამასთან დანიშნულ იქმნას ის დრო, რა დროიდგანაც ეს დადგენილებანი ძალაში უნდა შევიდესო.

*** ქალაქის გამგეობის ტეხნიკოსთა კომისიამ 6 ნოემბერს განიხილა განსვენებულ ზუბალაშვილის ფულით მოხუცებულთათვის და ტფილისის იმ მცხოვრებთათვის თავშესაფარის დაარსების საქმე, რომელთაც შრომა არ შეუძლიანთ.

*** ამ ჟამად ტფილისში ჩამოვიდნენ სპარსეთიდგან ის ინჟენერები, რომელნიც გასულ ზაფხულის დამდეგს ერთმა პეტერბურგელმა მთა-მადნის მწარმოებელმა ფირმამ გაჰგზავნა მადნების გამოსაკვლევად სპარსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში. როგორც ისმის, ინჟენერებს მრავალი მადანი რკინისა და სპილენძისა აღმოუჩენიათ.

*** ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველმა წინადადება მისცა ამ გუბერნიის ხარკის ამკრეფ ინსპექტორებს, მონაწილეობა მიიღეთ მეაბრეშუმეთა კრებაში, რომელიც 10 ნოემბერს მოხდება ქ. ქუთაისშიო. ხარკის ამკრეფი ინსპექტორები მიწვეულ იქმნენ კრებაზედ იმის გამო, რომ ისინი საკმაოდ ახლო იცნობენ გლეხთა მეურნეობის მდგომარეობას საზოგადოდ და მეაბრეშუმეობის საქმეს კერძოდ.

*** განსაკუთრებულმა კომისიამ დაამთავრა სამეურნეო სამოსწავლო გამოფენაზედ წარდგენილ საგნების დაფასება და ამ დღეებში შეუდგება ჯილდოების დანიშვნას.

*** რკინის გზების სამმართველოში მიწვეულია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს მოსკოვსა, ბაქოსა და ტფილისს შუა პირდაპირის მიმოსვლის დაწესების საქმე.

*** 8 ნოემბერს პირველ სავაჟო გიმნაზიის სადგომში დაიწყო საზოგადო განათლების კურსები.

*** 7 ნოემბერს აკურთხეს და გახსნეს კუკიის მე 4 საქალაქო სასწავლებელი, რომელიც ანდრეევის ქუჩაზედ იმყოფება.

*** ფოთი. 23 ოქტომბერს, ქ. ფოთში დიდად სამწუხარო ამბავი მოხდა. ღამის ათ საათზედ რკინის გზის სადგურიდგან წასულიყო საააგენტოში (?) დეპეშის გადასაცემლად დეპეშების დამტარებელი აზ. დავით ბერიძე. გზაზედ შეუხვევია ასლანოვის ღვინის დუქანში, სადაც რამდენიმე კაცი ღვინოს შეექცეოდნენ თურმე. იმათ დაუწყიათ ბერიძისთვის ლანძღვა. ბერიძეს უთაკილნია ეს და ერთისათვის წვერში უტაცნია ცალი ხელი და მეორე ხელით დაურტყამს სახეში. მედუქნეს ბერიძე კარში გაუყვანია, მაგრამ იმ საათიდგან ბერიძე აღარსად სჩანს არც ცოცხალი და არც მკვდარი. მიწამ ჩაჰყლაპა თუ ცამ, არავინ იცის. დაეძებენ ნათესავები და ადგილობრივი პოლიცია ყოველგან, მაგრამ ჯერ კიდევ ვერავის გაუგია, როგორ მოუსპეს სიცოცხლე ამ საწყალ რვა წვრილ-შვილის პატრონ კაცს. დარწმუნებულნი არიან, რომ ბერიძე უეჭველად მოკლულია და დამალული ან მიწაში და ან წყალში გადაგდებულიო.

*** ქუთაისი. ჩვენის ქალაქის ზოგიერთი ქუჩა ტალახის მორევს უფრო წარმოადგენს, ვიდრე გზას, მაგრამ ქალაქის თვითმართველობა ყურსაც არ იბერტყავს ამისთვის. თუ ვინმე გამოჩნდა კეთილი კაცი და მოისურვა თავისის სახლის გასწვრივ მაინც შეაკეთოს გზა, ამის ნებასაც დიდის გაჭირვებით იძლევა ქალაქის გამგეობა. ამ ერთის თვის წინად ბ-ნმა ან. ბენიაშვილმა მოინდომა თავისის სახლიდგან, ასე ოცის საჟენის მანძილზედ, თავისი ხარჯით ქვაფენილის გაკეთება, რომელსაც არშინ ნახევარი განი ექნებოდა. ქვაც მოატანინა, ოსტატებიც დაიქირავა, მაგრამ ნება-კი ვერ გამოიტანა გამგეობიდგან, თუმცა ბევრს ეცადა. ბოლოს, რადგან თითონ არ ეცალა, როგორც მასწავლებელს, სთხოვა თავისს მდგმურს ბ-ნს ნ. მოსიძეს, გამოიტანე ჩემს მაგიერ ნებართვაო. იმანაც დიდის სიამოვნებით იკისრა, მაგრამ რამდენჯერაცკი მივიდა გამგეობაში, ყოველთვის ასე უთხრეს: „ქალაქის ინჟენერმა უნდა დაათვალიეროს და შეამოწმოსო“, მაგრამ ინჟინერს-კი არ ჰგზავნიდნენ. ბოლოს, მოთმინებიდგან გამოსულმა, უთხრა ბატონს გაბაშვილს, გამგეობის წევრს: „ეს რა სამართალია, ბატონებო, არც თქვენ აკეთებთ და არც ჩვენ გვაძლევთ ნებას, და ღამის ტალახში ჩავიხრჩოთ; უკანასკნელად კიდევ გთხოვთ მოგვცეთ ნება. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები გუბერნატორს მივმართოთ თხოვნითო“. ახლა-კი დაფაცურდნენ ჩვენი გამგეობის გმირები და გაჰგზავნეს ხელად ინჟინერი. ინჟინერმაც დაათვალიერა და შემდეგ ნება მისცეს გაკეთებისა. დღეს უკვე მზად არის და ხალხი თავისუფლად დადის.

*** მივიღეთ მეათე ნომერი ჟურნალ მოამბისა. შინაარსი ამ ნომრისა: წარსულიდან.—სკოლაში.—ნაწილი მეორე.—XII—XX.—მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა (დასასრული მეორე ნაწილისა); შემუსვრილი სამი მცნება.—I—III.—ლეგენდალური ამბავი შ. არაგვისპირელისა; ფინლანდიელების ლიტერატურიდან.—I—IV.—თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა; ლაზარილიო ტორმესელი.—I—II.—თარგმანი ბ. უმიკაშვილისა; კრაზანა.—ნაწილი მეორე.—VIII.—რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ჯ. ჯოვანიჩისა, თარგმანი ნატალია რ. გიგაურისა (გაგრძელება); ფინლანდიელების ლიტერატურა.—I—თარგმანი ნინო ზურაბიშვილისა; რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას, ანუ ადამიანის მოქმედებას?—V VII—ა. კირსანოვისა, თარგმანი, ლ. ჯ.—სა (დასასრული); „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები.—LXVI—LXXI.—ალ. ს—შვილისა; ჩარლზ პარნელი.—ეგ. ტარლესი.—IV—V.—

დებაა, რა დანიშნულებას მისცემს ამ სახლებს.

2 ივნისს, ოთხშაბათს, შუადღის შემდეგ სამს საათზედ, წარვსდეგით მისს უნეტარესობის წინაშე იერუსალიმის პატრიარქისა დამიანესა. ჩემთან იყვნენ სამნი სამღვდელონი: ერთი დეკანოზი, ერთი მღვდელი და ერთიც მღვდელმონაზონი რუსთაგანნი. მიგვიღო ყოველნივე მამობრივის სიყვარულითა; გამოგვკითხა, ვინ რომელ ქვეყნიდგან ვიყავით. როდესაც მოვახსენე მისს უნეტარესობას, რომ ქართველი ვარ, მკითხა საქართველოს მღვდელ-მთავრების—ალექსანდრეს, გრიგორის და ბესარიონის ამბავი. არ უწყოდა, რომ უკვე შეერთებულია გურია და სამეგრელოს ეპარქიები. შემდეგ ვთხოვეთ კურთხევა წირვის შესრულებისათვის იერუსალიმის ტაძრებში. მან რწმუნების ქაღალდი მოითხოვა, სხვებმა წარუდგინეს, მე არა მქონდა წამოღებული მოწმობა სასულიერო მთავრობისაგან. ამისათვის ნებას არ მაძლევდა წირვისას. დავარწმუნე მისი უნეტარესობა, რომ ქართველი ვარ, კახეთში შობილი და ვიცი ის ადგილი და სოფელი „აღდგომა“, რომელიც კახეთის მეფეს ლეონს შეუწირავს ქრისტეს საფლავისათვის. მაშინ ბრძანა, რომ „მე თვითონ ვყოფილვარ სოფელს აღდგომაშიო“. დასარწმუნებლად ჩემის პიროვნებისა კვალადცა მოვახსენე, რომ მე ვითარცა საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს წევრმა ვუწყი, რომ ამ წლის დასაწყისში ჩვენმა საბჭომ წინადადება მისცა თქვენს წარმომადგენელს ტფილისში იერუსალიმის (ჯვარი მამის) ეკკლესიის წინამძღვარს არქიმანდრიტს სოფრონსა, რათამცა გაემართა ეკკლესიის ეზოში სამრევლო სკოლა; მან თვისის მოვალეობისამებრ მოახსენა ეს ჩვენი წინადადება თქვენს უნეტარესობასა და წარსულს აპრილში უკვე მოვისმინეთ ჩვენს საბჭოში, რომ თანახმა არა ხართ ჩვენს წინადადებაზედ. აწცა კვალად უმდაბლესად გთხოვ, დაგვითმოთ ერთი ოთახი ჯვარის მამის ეკკლესიის ეზოში სკოლის დასაარსებლად მეთქი. ხოლო მის უნეტარესობამ აღმითქვა, რომ კვალად განვიხილავთ ჩვენს სინოდში ამ თხოვნასა და შევასრულებ თქვენს წინადადებასაო. ამ საუბრის შემდეგ მისი უნეტარესობა დარწმუნდა ჩემს პიროვნებას და ნება-დამრთო მღვდელ-მოქმედებისა ვითარცა იერუსალიმში, ეგრეთვე გარეშე ეკკლესიებში, სადაც მოვისურვებდი. შემდეგ ჩვეულებრივის წესით პატივი-გვცა შარბათითა და ყავითა. საღამოს ოთხ საათზედ, ორს ივნისს, ოთხშაბათსა, ღირს ვიქმენით პირველად თაყვანისცემას ქრისტე მაცხოვრის ცხოველს-მყოფელის საფლავისასა, რომელიც საეკკლესიო საგალობელის გამოხატვით არს უბრწყინვალეს სამეფო სასძლოისა. თითონ ქრისტეს საფლავი წარმოადგენს პატარა ეკკლესიას, დიდს ტაძარში მდებარესა, შესავალი კარი ძლიერ დაბალია, ზედ საფლავზედ არს დაფარებულ მარმარილოს ქვა. ამ ადგილზედ ასვენია სამი აღდგომის ხატი, საშუალო—ბერძენთა, მარჯვნივ რომის კათოლიკეთა და მარცხნივ—სომეხთა. ამ ქრისტეს საფლავზედ შეასრულებენ ყოველ ღამე წირვასა ღამის 12 საათის შემდეგ, პირველად ბერძენნი ანუ მართლმადიდებელნი, მეორედ სომეხნი და უკანასკნელ ფრანგნი. ხოლო როდესაც მოისურვებენ რუსნი ანუ ქართველნი წირვის შესრულებასა ამ წმ. ადგილზედ, ამათ საკუთრათ ნებას არ მისცემენ წირვისას ქრისტეს საფლავზედა და შეუძლიანთ სწირონ მხოლოდ ბერძენთა სამღვდელოებასთან ერთად. ეშინიანთ როგორღაც, რომ უფლების პირველობას არ შეეცილნენ რუსნი. კოპტებს გარედგან დასავლეთის მხრით მიუშენებიათ ქრისტეს საფლავის სამლოცველოზედ თვისი სამწირველო. შიგ ეკკლესიაში სცხოვრობენ სენაკთა შინა მონაზონნი მამანი ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელნი: ბერძენნი, სომეხნი და ფრანგნი.

თაყვანივეცით ქრისტეს საფლავსა. გამოუთქმელია მორწმუნე გულისათვის ის საღმრთო წამი, როდესაც ქრისტეანე პირველად ეღირსება ამ სულიერს ნუგეშსა და სიხარულსა. შემდეგ მივმართე ჩემს თანამოგზაურს ოდესსელ მ, დეკანოზს ი. სა— მინს და ვკითხე შეიძლება, ადგილი მიასცეთ ჩვენს აწინდელს სარწმუნოებრივს გრძნობასა. მკითხა მან, რითაო? შესაბამის გალობითა, ვუპასუხე მე. მაშინ ვიწყეთ გალობა საგალობელთა: „მშვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა თვით უხრწნელი ხორცი შენი...“, ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა, აღდგომა ქრისტესი ვიხილეთ, ანგელოსი ღაღადებს, გიხაროდენ წმ. ქალწულო, განათლდი, განათლდი ახალო იერუსალიმ, ხორცითა მიიძინე მაცხოვარ...“ შემდეგ გვანიშნა ხელით ბერძნის მღვდელ-მონაზონმა, იქ მდგომარემ, რომ ჟამი არს ამიერ განსვლისაო. გამოვედით რა ქრისტეს საფლავის სამლოცველოდგან, ვიხილეთ მუნ მდგომარენი ფრანგთა სამღვდელონი, უკვე შემოსილნი, რომელნი ელოდებოდნენ ჩვენს გამოსვლასა. როგორც შევნიშნეთ ჩვენ, სასტიკად შემოგვხედეს და როგორც შემდეგ ვცანით, იმისათვის იყვნენ უკმაყოფილონი, რომ ნახევარი საათის განმავლობაში ვისარგებლეთ მათთვის დანიშნული ჟამით; შემდეგ დამშვიდდენ იგინი, როდესაც გვიხილეს, რომ ჩვენ ბერძენნი არ ვიყავით, არამედ ახლად მოსულნი

თარგმანი; შინაური ამბები—მოსკოვის საკრედიტო საზოგადოების საქმე.—რა აქვს ჩვენთან საერთო ამ საქმეს?—იქაურ და აქაურ ბანკირების შედარება.—გამომიება ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში.—მინინისა და პოჟარსკის ძეგლი მოსკოვში.—საჭიროა ჩვენებურ მინინსა და პოჟარსკისაც დაედგას ძეგლი.—ქ. ქუთაისი და სწავლა-განათლების ხარჯი.—ქართული თეატრის მდგომარეობა.—ვისი ბრალია, რომ ის ვერ არის კარგს მდგომარეობაში?—საიუბილეო წარმოდგენა ტფილისში.—ბ-ნ მთავარმართებლის დასწრება წარმოდგენაზე.—დ. ყიფიანის ძეგლის კურთხევა.—ივ. ზურაბიშვილისა.

*** 8 ნოემბერს ხალილ-მამედ-ოღლის აგურის ქარხანაში პოლიციამ აღმოაჩინა პოლიციელის ცოლის თეკლე ჰივჩენკოს (35 წლის) გვამი, რომელიც მიწაში იყო ჩაფლული. ამ ქალს პოლიცია 6 ნოემბრიდგან დაეძებდა. გამოძიებისაგან გამოირკვა, რომ ეს ქალი 6 ნოემბერს ხსენებულ აგურის ქარხანაში წასულიყო აგურის სასყიდლად და თან წაეღო 35 მან. ქარხანაში იგი დაურჩვიათ, გაუძარცვავთ და მისი გვამი-კი მიწაში ჩაუფლავთ. ქარხნის პატრონი და მისი მუშები პოლიციამ შეიპყრო.

*** გუშინ ყარსის რკინის გზაზედ გაემგზავრა მცირე კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ გზის მიღების საქმე.

*** 7 ნოემბერს რიყის ცხენის რკინის გზაზედ, „რაზიეხლის“ ქუჩაზედ, ცხენის ვაგონმა გაიტანა და სასიკვდილოდ გასრისა შულავერის მაზრის მცხოვრები არაქელოვი. ვაგონის მეეტლე, თელავის მაზრის მცხოვრები იოს. რევაზაშვილი, შეიპყრეს.

*** მე-3, 6 და 7 ნაწილებში პოლიციამ შეიპყრო 8 ნოემბერს 54 უპასპორტო კაცი, რომელთაც მიეცათ სამშობლოში წასასვლელი მოწმობანი.

*** როგორც ისმის, პოლიციის მე-X ნაწილის ბოქაული თავ. თუმანიშვილი სამსახურს თავს ანებებს.

## წერილი გუდაუთიდგან

(აფხაზეთი)

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აგერ სამი წელიწადია, რაც დაბა გუდაუთას აღეკრძალა მსურველთათვის მიეყიდნა თავისუფალი სამოსახლო მიწები და ამით ჩვენის დაბის წინმსვლელობა-წარმატება შეჩერდა, შეფერხდა მცირე ხნით მაინცა. საქმე ის არის, რომ დაბას უმაღლესად ნაბოძები აქვს 800 დესიატინა მიწა და 500 ნაჭერზედ მეტი თავისუფალი დაგეგმილი სამოსახლო ნაჭერი. მდიდარმა და მშვენიერმა ბუნებამ, ზღვის პირად მდებარეობამ, სალმა ჰავამ და მიწის სიიაფემ ჩვენს დაბას ბევრი მუშტარი უშოვნა, რომელთაც ჰსურთ აქ დასახლდნენ. მსურველთა უმრავლესობას შეადგენს პეტერბურგისა და მოსკოვის დიდკაცობა. მაგრამ დღემდის დაბას არა ჰქონდა ნება ეს თავისუფალი სამოსახლო ნაჭრები გაეყიდნა. ამ გაზაფხულზე-კი საზოგადოებას, თავისისავე თხოვნის თანახმად, მოუვიდა უფლება სამოსახლო მიწები მიჰყიდოს მსურველთ, განურჩევლად ეროვნებისა. აგრეთვე ბრძანება მოუვიდა ადგილობრივ პოლიციას და საdაბო თვით-მმართველობას მოიყვანონ ცნობაში აქამდის კანონიერად, თუ უკანონოდ კერძო კაცთა მიერ დასაკუთრებული ადგილები. ამ უკანასკნელის ბრძანების ასრულებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. თუ ძალად მამულების დამჩემებელთ დაესაკუთრა ეს ადგილები, მაშინ წაერთმევა იგი იმ ხალხს, რომლის დაუცხრომელის შრომითა და სისხლ-ნარევ ოფლითა ბაყაყთა საკონცერტო ჭაობებიდგან მშვენიერ თვალ-წარმტაც პატარა ქალაქად იქცა ჩვენი გუდაუთი! ძალიან კარგი იქნება, რომ უმაღლესი მთავრობა წაექომაგოს ამ უსიტყვო ხალხს და იმათი ბეჯი უკუღმართად არავის გადააწყვეტინოს.

აქვე საზოგადოების საყურადღებოდ ვიტყვი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს საუცხოვო მხარეს მიაქცია ყურადღება როგორც მეცნიერებამ, აგრეთვე მთავრობამ და საზოგადოებამაც, და შორს არ არის ის დრო, როცა აქამდის მივიწყებული ჩვენი მხარე კავკასიის ერთ საუკეთესო დამამშვენებელ მხარედ გარდაიქცევა. პეტერბურგის პროფესორის პასტერნაცკის აზრით, გაგრის ხეობა არამც თუ არ ჩამოუვარდება ბუნების სიმშვენიერითა და ჰავის სისალით მთელს ევროპაში ცნობილს ნიცცას, არამედ ბევრითა სჯობს. აქ დიდი ფაცა-ფუცია მამულების ყიდვისათვის. ჩვენს საზოგადოებას ვურჩევთ დროზედ მოჰკიდოს ხელი და შეიძინოს როგორც თვით დაბაში, აგრეთვე სოფლადაც მიწა-მამული. ჯერ-ჯერობით ეს ხელმოკლე კაცისათვისაც ადვილ მოსახერხებელია. ამ მოკლე დროში გუდაუთაში გაიყიდება სამას ნაჭრამდე სამოსახლო მიწა (250 ოთხ-კ. საჟ.) და თითო ნაჭერი ჰფასობს 25—300 მან. გაყიდვის დღე გაზეთში იქნება გამოცხადებული.

ამ შემოდგომაზედ ავირჩიეთ დაბის მამასახლისი, დეპუტატები და მამასახლისის თანაშემწე. არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ბელმოვსკი, ალტუნინი და კონოპლია. ძველი მამასახლისი ბ-ნი სვიმონ ჩიჩავა და დეპუტატი დიმიტრი ნადარეიშვილი-კი დათხოვნილ იქმნენ. მიზეზი დათხოვნისა არავინ იცის; თუმცა ამბობენ, რომ ეს მიზეზი უმიზეზობაა.

ჰამუტ-ბეი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**თიანეთი.** „რა კარგია კარგი კაცი, კარგს საქმეზედ აგებული; ქვეყანა ჰყავს მადლიერი, სწორის გული მოგებული“. ეს ლექსი თამამად შეიძლება ითქვას ბ-ნ ივ. თევ. ჩიბალაშვილზე, რადგანაც მისმა სამსახურმა და საზოგადო საქმისთვის თავდადებამ ნათლად დაგვანახვა, რომ იგი კარგის საქმისთვის არის გაჩენილი. დიდი შრომა მიუძღვის ბ-ნს ჩიბალაშვილს თიანეთის საზოგადოების წინაშე. იგი იყო გამგედ თიანეთის სავაჭრო ამხანობისა, აქაურ წიგნთ-საცავსაც ჰმართავდა მისი დაარსების დღიდგან (1895 წ.) და ამ ხნის განმავლობაში იმას უთმობდა ერთს ოთახს, ანათებდა და უვლიდა. ეხლაკი, სამწუხაროდ, თავი უნდა დაანებოს აქაურობას. აქაურმა საზოგადოებამაც არ დააგდო უყურადღებოდ ამ პატიოსანი კაცის სამსახური და 10 ოქტომბერს საზოგადო კრებაზედ დაადგინა: მიართვან მას რაიმე საჩუქარი, საზოგადო საქმის ერთგულად სამსახურისათვის.

10 ოქტომბერს მოწვეულ კრებაზედ წიგნთ-საცავის მზრუნველის ამოსარჩევად და სარევიზიო კომისიის ანგარიშის მოსასმენლად, ხმის უმეტესობით მზრუნველად არჩეულ იქმნა ბლ. მღ. კლ. გელიშვილი. ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ წიგნთ-საცავს 1895 წლიდგან დღევანდლამდე შეუძენია: რუსული წიგნი 534 ცალი, ქართული—436, სულ 970 ცალი. წარსულის წლის 22 ნოემბრიდგან დღევანდლამდე შემოსვლია: საწევრო ფული 73 მ. 50 კაპ., სხვა-და-სხვა შემოწირულება—19 მ. 55 კ., სულ 93 მან. 5 კაპ. ამავე დროს განმავლობაში გასავალი ჰქონია: რუსულ ქართულის ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად—75 მან. 47 კ. მოუშორებია წარსულის წლის დარჩომილი ფასი „ივერიისა“ 8 მან. შეუძენია ახალი წიგნები: რუსული 20 მანეთისა და 30 კაპ., ქართული—21 მან. 50 კაპ. ნაღდი ფული აღმოჩნდა კასაში 38 მ. 44 კ. ავეჯი 46 მანეთისა და 75 კაპ. წლის განმავლობაში წიგნთ-საცავს მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „ივერია“, „მოამბე“, „კრებული“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „ცნობის-ფურცელი“, „Новое Обозрѣніе“, „Нива“, „Вѣстникъ Иностранной Литературы“, „Недѣля“, „Историческій Вѣстникъ“, „Вокругъ Свѣта“, „Журналъ для Всѣхъ“ და საზღვარ-გარეთის მწერალთა თხზულებანი, რომელნიც წლის დამლევს შესრულდება 60 ტომად.

იგივე

## რუსეთი

პეტერბურგში შესდგა მოგზაურთა წრე, რომელთაც აზრადა აქვთ ერთი გემი დაიჭირონ და პარიჟის გამოფენამდე მთელ დედა-მიწას შემოუარონ გარეშემო.

— 1904 წელს ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც პეტერბურგის უნივერსიტეტთან დაარსებულ იქმნა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტი. აზრადა აქვთ ამ დღისთვის შეადგინონ ვრცელი ისტორია ფაკულტეტისა.

— რუსეთის სათეატრო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სხვა-და-სხვა წარმოდგენებს ამ საზოგადოების სასარგებლოდ გადასახადი დაედოს.

— სამხედრო მინისტრის გენერალლეიტენანტის ა. ნ. კუროპატკინის წინადადებით აზრადა აქვთ გამოსცენ ჯარის-კაცებისათვის განსაკუთრებული ყოველ დღიური გაზეთი. ყველა რაზმი სავალდებულო იქმნება გამოიწეროს ეს გაზეთი.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** გაზ. „პეტ. ვედ.“-ს სწერენ ლონდონიდგან, რომ, როგორცა სჩანს, ბაზუტები არ დაიგვიანებენ ინგლისელებს მიეშველონ ბურების წინააღმდეგო. ბურებმა ერთს დროს დიდძალი მამულები წაართვეს ბაზუტებს და ეს უკანასკნელნი ეხლა სამაგიეროს გადახდას აპირებენ თურმე. თუმცა ის ხმა, რომ ბაზუტები ორანჟის რესპუბლიკას უპირებენ თავს დასხმასაო, დიდი ხანია გავრცელებულია და ოფიციალურადაც არ დამტკიცებულა ჯერ, მაგრამ ეს თუ ასრულდა, საკვირველიც არ იქნება, რადგან ინგლისის აგენტები აქეზებენ ბაზუტებს ბურების წინააღმდეგ და უღვიძებენ გულში მკვდს მტრობას. ამ 2—3 კვირის წინად ინგლისის წარმომადგენელს შემოუთვლია ბაზუტიდგან ბ-ნ ალფრედ მილნერისათვის, რომ ბაზუტების წინამძღოლებს, რომელნიც გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ ბრძოლის ველის ამბებს, სურვილი აქვთ ომში წავიდნენ, ვითარცა ინგლისის დედოფლის ქვეშევრდომებიო. ამის პასუხად ბ-ნს მილნერს ვითომც შეეთვალოს, რომ სასურველი არ არის ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მონაწილეობა მიიღონ თეთრების ბრძოლაშიო. კიდევ ერთს მძლიერს წინამძღოლსაც, სახელდობრ კამას, განუცხადებია სურვილი ბურების წინააღმდეგ გალაშქრებისა. ერთი სიტყვით, ეს ხმები, თუ სიმართლეს არ არის მოკლებული, ე. ი. ბაზუტები და სხვა ად...

---

მლოცავნი რუსეთით და საქართველოით. უპირატესი ფრანგთა სამღვდელო შევიდა ქრისტეს საფლავის სამლოცველოში, რომელსაც ბერძენნი უწოდებენ „კუვუკლიად“ ხოლო სხვათა მონაზონთა გარეშე საფლავისა დაიჩოქეს, რადგანაც შიგნით საფლავის წინაშე ოთხის კაცის მეტი ვერ გაიმართება.

დაიწყეს ლიტანია გალობით, რაიცამ ნახევარ საათს გასტანა, და შემდეგ გალობის წართქმით წარემართნენ მარჯვენა მხარეს, სადაც თავისი დაჩემებული სამლოცველო აქვთ, რომელიც უწინარეს ქართველების საკუთრებას შეადგენდა.

ქრისტეს აღდგომის ეკკლესია იკეტება თურქთაგან ყოველს საღამოს შვიდს საათზედ და განიღება მათგანვე დილის ხუთს საათზედ, შემდეგ წირვის შესრულებისა ბერძენთაგან. თვით ამ ეკკლესიაში აქვთ ბინა მცველთა თურქთა, ვითარცა სჩანს, აქვე აღასრულებენ იგინი თვისს ჩვეულებრივს ლოცვასა, „ნამაზად“ წოდებულსა. დადებულია ფასი ეკკლესიის კარის გაღებისათვის, ერთი კარისთვის ორი მანეთი ყოველ დღე და ორივე კარებისათვის—სამი მანეთი. როდესაც თვით პატრიარქი სწირავს დღესასწაულში, მხოლოდ მაშინ გააღებენ ორივე კარს. სამწუხაროდ ჰმოქმედებს მორწმუნე ქრისტიანის გულზედ, როდესაც ამ მდგომარეობაში ჰხედავს ქრისტე მაცხოვრის ეკკლესიასა, ყოველთა წმიდათა უწმიდესსა ადგილსა.

ამავე ეკკლესიის გუმბათს ქვეშ არის გოლგოთაც სამხრეთის მხრივ; ის ადგილი, სადაც ჯვარს აცვეს უფალი იესო ქრისტე; აქაც აღშენებულა სამწირველო ტრაპეზი მართლმადიდებელთაგან. აქვე აღმართულია დიდი ჯვარი, ჯვარცმულის უფლისა იესო ქრისტეს ხატითა, გარემო მისა მდგომარენი—მარჯვენით დედა ღვთისა მგოდებელი და საყვარელი მოწაფე ქრისტესი იოანნე მარცხენით მწუხარე სახით. ქვის გულიც შეძრწუნდება და მოვა ლმობიერებაში ამ სურათის ხილვით. დავვარდით წინაშე ჯვარცმულისა მეუფისა, მაცხოვრისა კაცთა ნათესავისა, თაყვანი ვეცით და ვიგალობეთ წინაშე მისსა: „ჯვარსა შენსა თაყვანის ვცემთ მეუფეო, აცხოვნე უფალო ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა კეთილმორწმუნეს ხელმწიფესა ჩვენსა იმპერატორსა ნიკოლოოზს ალექსანდრეს ძესა მოანიჭე, და საგალობელი პატივად იოსებ მშვენიერის, რომელმან ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი ქრისტესი და დაფლა იგი თვისსა მტილსა შინა, თავისს თვისისათვის კლდეში გამოკვეთილსა საფლავსა“. რადგანაც ეს საგალობელი არ არის ქართულს ენაზედ, ამისათვის ვთარგმნე იგი სლავურიდამ პირდაპირ: „მოვედით, ვნატრიდეთ იოსებს მარადის—მოსახსენებელსა, რომელი ღამით მოვიდა პილატესსა, და გამოსთხოვა ცხოვრება იგი ყოველთა: მომეც მე უცხო იგი, რომელსა არა აქვს, სადა თავი მიიდრიკოს, მომეც მე უცხო იგი, რომელიც ბოროტმან მოწაფემან განსცა სასიკვდილოდ, მომეც მე უცხო იგი, რომელსა დედა ხედვიდა რა ჯვარსა ზედა, დამოკიდებულსა, მგოდებელი ხმობდა და დედობრივ ღაღადებდა: მე, შვილო ჩემო, მე, ნათელო ჩემო და საშოო ჩემო საყვარელო. რამეთუ სვიმეონის მიერ წინასწართქმული ეკკლესიასა შინა დღეს აღსრულდა; გულსა შენსა მახვილი განვიდეს. თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა ქრისტე, თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა ქრისტე, თაყვანისვცემთ ვნებათა შენთა ქრისტე; და წმიდასა აღდგომასა შენსა“.

ამავე ეკკლესიაში არს სვეტი, რომელზედაც მიბმულ იყო ქრისტე მაცხოვარი დაშოლტვის დროსა. აქვე უჩვენებენ ადგილსა, სადაც განიყვეს მხედართა საუფლო სამოსელი და კვართსა მისსა ზედა განიგდეს წილი. (ფსალ. 21, 18).

ამავე დღეს ვნახეთ ახლად გამოჩენილი გზა, რომლითაც მიჰყავდათ იესო ქრისტე იერუსალიმით გოლგოთაზედ ჯვარცმისათვის. აღმოუჩენიათ ქალაქის ბჭენი და ერთს ქვაზედ წარწერა ადრიანესი რომის კეისრისა. ამის ბრძანებით მეორედ დააქციეს იერუსალიმი და აღაშენეს ქრისტეს საფლავზედ წარმართთა საკერპო ვენერისა და იუპიტერისა. მას ჰსურდა სრულიად დაეფარა და მოესპო ქრისტეანეთათვის ეს წმ. ადგილები, მაგრამ ღვთისა განგებისაებრ ეს წარმართთა ტაძარი აღმოჩნდა ძეგლად, მაჩვენებელად ქრისტე მაცხოვრის საფლავისა „და ნათელი იგი ბნელსა შინა ჰსჩანს, და ბნელმა იგი ვერ დაჰფარა. (იოან. 1, 5).

ნეტარმა ელენა დედოფალმა, აღძრულმა ქრისტეს სიყვარულით, მოისურვა აღმოჩენა ამა წმ. ადგილებისა და ჰპოვა ცხოველს-მყოფელი ჯვარი ქრისტესი 326 წელს, რომლისა სახსოვრად ეკკლესიამ დააწესა დღესასწაული 14-ს ენკენისთვესა, მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა საუფლო ჯვარისა.

პირველი ეკკლესია ქრისტე მაცხოვრის საფლავზედ მანვე აღაშენა და კურთხევისათვის მისა მოუწოდეს 300 ეპისკოპოსთა, კურთხევა შესრულდა 13-ს სექტემბერსა და სახსოვრად მისა დააწესეს დღესასწაული „ენკენია“, ანუ განახლება კურთხევისა, და ყოველწლივ დღესასწაულობდნენ ამ კურთხეულს დღეს; ამისათვის სექტემბრის თვეს ეწოდება ენკენობის თვე.

დეკანოზი პ. დ. კონჭოშვილი-ილწობელი

(შემდეგი იქნება)

გაღიზრივი ხალხები აღამჭრდნენ ბურების წინააღმდეგ, თქმა არ უნდა, რომ უკანასკნელთ ცუდი დღე დაუდგებათ.

—

**გერმანია.** როგორც ვიცით, გერმანიის გაზეთები წინააღმდეგნი იყვნენ იმპერატორის ვილჰელმის ინგლისში წასვლისა, მაგრამ რა ვერა გააწყეს-რა, მალა-უნებურად შეურიგდნენ ამ გარემოებას. ეხლა გერმანული გაზეთები ამტკიცებენ, რომ იმპერატორის მოგზაურობას არავითარი გავლენა არ ექმნება გერმანიის პოლიტიკაზედ; გერმანიას სრულებითაც არა აქვს აზრად ან ინგლისთან დაკავშირებით შეკრას ხელფეხი და ან რუსეთთანო. საფრანგეთის გაზეთებს არა სწამთ ეს სიტყვები. „ფიგარო" ამტკიცებს, რომ გულუბრყვილობად ჩაეთვლებათ გერმანიის გაზეთებს, როცა მთელს ევროპას არწმუნებენ, რომ ტრანსვაალის შესახებ გერმანიას არავისთვის არავითარი პირობა არ მიუციაო. ოთხი წლის წინად გერმანიის იმპერატორმა თავი გამოიდვა ტრანსვაალის დამოუკიდებლობისათვის, ეხლა-კი იგივე ხელმწიფე სრულს უფლებას აძლევს ინგლისელებს ტრანსვაალს ისე, მოეპყრან როგორც თითონ სურთ, და ხმასაც არ იღებს საქმეში ჩარევის შესახებო. ამასთანავე იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ასეთ გაცხარებულ ომის დროს მიდის იმპერატორი ინგლისშიო. რადგან ინგლისმა დიდი უპირატესობა მიანიჭა გერმანიას სამოას კუნძულებზედ, ხსენებული გაზეთი იმ აზრის არის, რომ არც ინგლისი დარჩება უსასყიდლოდ გერმანიის მხრითო. ის გარემოება, რომ იმპერატორს მგზავრობაში თან ახლავს გარეშე საქმეთა მინისტრი ფონ-ბიულოვი, „ფიგარო"-ს საბუთი ეძლევა იფიქროს, რომ ქვეყნიერობა ჩქარა გაიგებს ინგლისსა და გერმანიას შორის დადებულ ხელშეკრულობის ამბავსაო.

# დამაკვირდი

უორანმა დედაკაცი სამოთხიდგან განდევნა.

პ. მანტეგაცა

* * *

თუ გსურს მხედარნი აზრმოლო გმარებრ, სასოება დაუნერგე მათ გულთა შინა.

კამბიზ

* * *

სნეულება მოგერიდება, ოდეს მოირიდებ და სხვებსაც მოარიდებ სნეულების ბუდეს—სიბინძურეს, ნაღველს, მწუხარებას და უძღებობას.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დღემდის ევროპაში ეგონათ, რომ ლუდი მათი გამოგონილია, მაგრამ, როგორც ეხლა ახალმა არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა აღმოაჩინეს, ლუდს რამდენისამე ათასის წლის წინად ეგვიპტელნიც შეექცეოდნენ. ლუდი 3,000 წლის წინად ძალიან ყოფილა გავრცელებული ეგვიპტეში. ღვინოს იქ სასმელად მხოლოდ მაღალი საზოგადოება ხმარობდა, ლუდს-კი ყველა წოდების ხალხი.

* * *

მკითხველებს უთუოდ გაუგონიათ ჩინეთის განთქმული გალავანი, რომელიც საკუთრივ ჩინეთსა და მანჯურიის საზღვარზედ არის გაყვანილი. სიგრძე ამ გალავნისა რამდენიმე ასი ვერსი იქმნება. გალავანი უხსოვარ დროს არის აგებული ჩინეთის მეფეების ბრძანებით თავიანთ სახელმწიფოს მტრისაგან დასაცველად. ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, მთავრობას გადაუწყვეტია დააქციოს ეს გალავანი, ალბად იმიტომ, რომ დღეს მნიშვნელობა აღარა აქვს. გარდა ამისა მთავრობას აზრადა აქვს სამუშაო აღმოუჩინოს მრავალ თავისს ქვეშევრდომს, რომელნიც მოუსავლობის გამო შიმშილით იხოცებიან.

* * *

ახალ ზელანდიაში ამ ერთის საუკუნის წინად არსებობდა ერთგვარი უზარ-მაზარი ფრინველნი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „მოას" ეძახდნენ. ეს ფრინველი მცხოვრებმა სულ ამოწყვიტეს და ეხლა აღარსად მოიპოვება. „მოა" ძალიანა ჰგვანდა თურმე სირაქლემას, იმასავით ფთები და ბოლო არა ჰქონია; სიდიდით და ღონით-კი ბევრად სჯარბობდა თურმე სირაქლემას. ამბობენ, რომ უწინ, მადაგასკარის კუნძულზედ ჰბუდობდა „მოაზედ" გაცილებით დიდი ფრინველი. კვერცხი ამ ფრინველისა 160-ჯერ დიდი იყო თურმე ქათმის კვერცხზედ. 1851 წელს ბუნების-მეტყველს ჟოფრუა დე-სენტ-ილერს ამ ფრინველის ერთი კვერცხი ეპოვნა, რომელიც ქათმის კვერცხზედ 220 ჯერ დიდი ყოფილა. ადგილობრივი მკვიდრნი ევროპის პირველ მგზავრთ უამბობდნენ ხოლმე, ჩვენს კუნძულზედ უზარმაზარი ფრინვლები სცხოვრობდნენო. ეს ფრინველი თავისს კლანჭებითა და ღონიერის ნისკარტით ადვილად ერეოდა გარეულს ხარსაო.

* * *

არ არის თითქმის ისეთი პირუტყვი და ნადირი, რომლის ხორცსაც სადმე დედამიწაზედ საჭმელად არა ხმარობდნენ. ერთის ფრანგულის ჟურნალის აზრით, ბევრი პირუტყვისა და ნადირის ხორცი, რომელსაც ევროპაში ერიდებიან, მეტად გემრიელი და კარგია საჭმელად. ამ გაზეთის სიტყვით, ევროპაში სიამოვნებით შეექცევიან კიბოს, რომელიც სიცოცხლის დროს უსუფთაო რამეებით იკვებება და ერიდებიან კალიას, რომელიც მხოლოდ მცენარეულობით იკვებება და საოცარი გემრიელიც არის. აფრიკაში სიამოვნებით შეექცევიან თურმე მოხრაკულ კალიას. ევროპაში სწუნობენ ძაღლის ხორცს, აღმოსავლეთ ქვეყნებში-კი ამ ხორცისაგან მომზადებული საჭმელი განთქმულია. ჩინელს საჭმელად ისე არაფერი უყვარს, როგორც შემწვარი და მოხრაკული თაგვის ხორცი. მოგზაურების აზრით, მეტად გემრიელი ხორცი აქვს თურმე ლომსა და სპილოსაც. ამ უკანასკნელის ხორცისაგან აფრიკასა და ინდოეთში ადგილობრივი მცხოვრებნი ლორს ამზადებენ, რომელსაც ღორის ლორი სულაც ვერ შეედრება თურმე.

## უკვდავთა ღაღადებანი

ე. ალსარება (წმ. რაჟდენ წამებულისა).

მე ქრისტიანე ქმნილ ვარ და დამიტევებიეს მამული უღმრთოებაჲ და არღარა თაყვანისვცემ ცეცხლსა შემწველსა, არცა მზესა კაცთათვის სამსახურად დაბადებულსა. არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმან ჰქმნა ცანი და ქვეყანა და ყოველი რაჲ არს მათ შინა ხილულნი ანუ უხილავნი, რომელსა აქვს უკვდავება, დამკვიდრებულ არს იგი ნათელსა შინა თვალშეუდგამსა, რომელი იგი არავინ იხილა, ვერცა ხილვად შემძლებელ არს; ესე არს ღმერთი ჩვენი, რომელსა მე შევემეცნე, სამგვამოვანებით დიდებული და ერთღვთაებით აღსაარებული, რომელი უკანასკნელთა ამათ ჟამთა მოვიდა ხსნისათვის კაცთა ნათესავისა, ერთი წმიდისა სამებისაგანი ხორციელ იქმნა, და დაემკვიდრა ჩვენ შორის და იქმნა მსგავს კაცთა, თვინიერ ცოდვისა, და ყოველივე განგებულება ცხოვრებისა ჩვენისა აღასრულა, და უკანასკნელ ჯვარსეცვა, და მოკვდა ბუნებითა ჩვენითა, და ჩვენ უკვდავება მოგვანიჭა, და დაეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა, და ამაღლდა ზეცად მუნვე წიაღთა, ვინა იგი გარდამოხდა, მჯდომარე არს მამისა თანა, და კვალად მოვალით დიდებითა ღვთივშვენიერითა: მაცხოვრად მორწმუნეთა მისთაჲ და დასჯად მათდა, რომელთა არა რწამს ღვთაება მისი.

წმ. რაჟდენი წამებულ იქმნა სოფელ წრომს (ქართლშია) 504 წელს. სპარსეთის ყაენი კობად ემტერებოდა საქართველოს მეფეს ვახტანგ გორგასალს, დიდის ლაშქრით შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში და მრავალი ბოროტება ჩაიდინა. ბოლოს მეფე და ყაენი შერიგდნენ. წმ. რაჟდენის გვამი ვახტანგმა მიასვენა ქართლის სოფელ ნიქოზს და დაასაფლავა. მის საფლავზე აგებულ იქმნა დიდი ტაძარი და მაკურთხევლად განწესებულ იქმნა ეპისკოპოსი—„ნიქოზელი".

## ახალი წიგნები

—

რედაქციამ მიიღო „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა და მოქმედებების საწარმოებელი სავარჯიშო მასალა", შედგენილი ი. ნატროშვილის, ხოლო მესამედ გამოცემული ზ. პ. გრიქუროვის მიერ. კრებული 130 გვერდს შეიცავს და ჰღირს 35 კაპეიკად.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ნოემბერი

**დურბანი.** 6 ნოემბერი. „რეიტერის სააგენტო". ლედისმიტიდგან „Times of Natal"-ის მიერ მიღებულ დეპეშაში ნათქვამია, რომ 28 ოქტომბერს იერიშის დროს ინგლისელებმა ბურები რამდენჯერმე უკან დასწიესო და ბოლოს ბურები სრულიად განდევნეს დაჭერილ ადგილებიდგან. ბურებმა დაჰკარგეს 700—800 კაციო.

**ლონდონი.** „Daily Mail"-ს ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ, რომ როგორც მოსულის ცნობებიდგანა სჩანს, 10,000 ბური პიტერმარიცბურგიდგან გენერალ ბულერის ჯარს უცდიდა. გენერლები ჟუბერი და ბოტა დიდის რაზმებით სდგანან, რათა ბულერი შეაჩერონ. გენერლები ჰფიქრობდენ, რომ ომი კოლენზოსა და ესტკორტის შუა მოხდებაო.

როგორც „Daily News"-ს კაპშტადტიდგან ატყობინებენ, ბულერს თავისი მთავარი სადგომი დეაარში გადააქვს, სადაც დიდი მზადებაა.

„Times"-ს ატყობინებენ კინგსტოუნიდგან: „მაიორი ოლივიე 50 კაცით ბურგერსდორპიდგან ჯემსტონში მოვიდა, ცოტა ხანს უკან ორანჟენს რესპუბლიკის დროშა აღმართა და გამოაცხადა, რომ ქალაქი რესპუბლიკისათვის შემიერთებიაო".

გაზეთებს ლორენცო-მარკეზედგან ატყობინებენ, რომ ლედი-სმიტში ინგლისის ჯარის კაცნი სახადისაგან ხდებიან ავადაო.

**ბერლინი.** 8 ნოემბერი. „ვოლფის სააგენტო". ერთი აქაური გაზეთი აცხადებს, რომ გუშინ პრეტორიიდგან ლედი-სმიტში 20 მატარებელი იქმნა გაგზავნილი ტყვეების გადმოსაყვანადაო.

9 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 8 ნოემბერს პეტრე-პავლეს ტაძარში ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული.

**პარიჟი.** უმაღლესი სასამართლო. დერულედი გამოტყდა, რომ მინდოდა კონსტიტუცია დამერღვია, და სთქვა, ფელიქს ფორს ვსთხოვე სახელმწიფოში ცვლილება მოეხდინა.—ფორმა მომიგო, ამ თანამდებობაზედ კონსტიტუციის ძალით ვიქმენ არჩეული, ამიტომ კონსტიტუციას დარაჯობას ვუწევო. დერულედმა სთქვა კიდევ, რომ პროკლამაცია მოვამზადე, რომელიც ამ სიტყვებით თავდებოდა: „საპარლამენტო რესპუბლიკის დღენი დათვლილია, გაუმარჯოს პლებისციტარულს რესპუბლიკასაო!"

**ესტკორტი.** იუწყებიან, რომ ჟუბერი სამხრეთისკენ მიდისო. მაიორს ტორნეკროფს მცირე რაზმით წარსულ ღამეს შეტაკება ჰქონდა მტერთან მოკლულ იქმნა 2 ბური.

**ლონდონი.** დღეს გარდაიცვალა ლედი სალისბიური.

როგორც კაპშტადტიდგან იუწყებიან, ბურებს ჯერ არ დაუჭერიათ ბურგერსდორპი.

**კაპშტადტი.** ოლქებს: კოლსბერგსა, სტეინბერგსა, ალბერგსა, მოლტენოსა, ალივენ-ნორტსა, უედგაუზსა, გლენგრეისა, კუინსტაუმსა და კატკარტში სამხედრო დროის წესრიგი იქმნა გამოცხადებული. პროკლამაციაში მცხოვრებთ სთხოვენ, არავითარი ყურადღება არ მიაქციონ ორანჟეს რესპუბლიკის მიერ გამოცემულ პროკლამაციას, რომელშიაც ლაპარაკია, კაპის ახალშენის ნაწილის შეერთების შესახებ.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებში მოთავსებულია დეპეშა ესტკორტიდგან, რომელიც იუწყება, რომ ლედი-სმიტთან ბრძოლა მოხდა 3 ნოემბერს; ბრძოლამ ნაშუადღევის ორს საათამდე გასტანა. ბევრი ბური იქმნა მოკლული, ბევრიც ტყვედ წაყვანილიო.

**ლორენცო-მარკეზი.** პრეზიდენტს შტეინს მიუღია მოსამართლის გერცოგისაგან დეპეშა, რომელშიაც იუწყება, რომ ბერკლი, ვესტ-დუგლასი და გრიკვიტაუნი დაუჭერიაო.

**ვინდზორი.** რკინის გზის სადგური სადღესასწაულოდ არის მორთული. აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ნაშუადღევის 2 საათზედ ადრე მოვიდა იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა. დაჰხვდნენ პრინცი უელსისა, ჰერცოგნი კემბრიჯისა და იორკისა. იმპერატორი და იმპერატრიცა სასახლეში წავიდნენ.

**ორანჟ-რივერი.** ინგლისის ჯარი, ორანჟეს მდინარის ზემოდ თავ-მოყრილი, როგორც ამბობენ, ამ კვირასვე გაემართება კიმბერლეის გასანთავისუფლებლად. ბურებიც დიდს მხნეობას იჩენენ კიმბერლეის დასაჭერად.

**მადრიდი.** ერთი კაცი შავის ჭირით გახდა ავად პორტუგალიის სოფელ ალპედრენში, რომელიც საზღვრის მახლობლად მდებარეობს. პორტუგალიის მთავრობამ საჭირო ზომები მიიღო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს გიორგი ილიას ძე ოქრომჭედლიშვილს, რომელმაც ჩვენის თხოვნით თავისს ხე-ტყის ქარხნიდამ შესწირა უფასოდ ხის მასალა, ღირებული 200 მ. სოფ. შუხუთში (ოზურგეთის მაზრაში) განზრახულის სამრევლო სკოლის შენობის ასაგებად. დარწმუნებული ვართ, რომ სხვებიც მიჰბაძავენ ამ კეთილს მაგალითს.

მელანია გრიგოლის ასული იმნაიშვილისა


# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემლის გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში მესამე გამოცემა ბ. ა. ნატროშვილის

**არითმეტიკის კრებულისა.**

ეს წიგნი მოწონებული და მიღებულია სამოსწავლო მთავრობათაგან სახელმძღვანელოდ ყველა საქართველოს სასულიერო და საერო პირველ დაწყებითს სკოლებისათვის. ფასი წიგნისა 35 კ.

3—175—1)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე"**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჭიქა —2 მან., პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—36)

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 9 Ноября 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე